



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„გამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

31 დეკემბერი 2021 წელი

N 62/36

ეგზ.: N 1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2020
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	10
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
დანართები	დანართები	32
	საკონტაქტო ინფორმაცია	35

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.

მერია – სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.

მუნიციპალიტეტი – სამტრედიის მუნიციპალიტეტი.

საკრებულო – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

შემსყიდველი – სამტრედიის მუნიციპალიტეტი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2019-2020 წლებში, შესაბამისად, 19.0%¹ და 17.0%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის სისტემის ნაკლოვანებების გამო, 1,244.6 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

სამუშაოების მიწოდების ვადის დაუსაბუთებელი ზრდა

მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად გაზარდა სამუშაოების მიწოდების ვადები, რის გამოც ინფრასტრუქტურული პროექტების სახით განსაზღვრული პროდუქტი მოსახლეობას დადგენილ დროში ვერ მიეწოდა. აღნიშნულის შედეგად მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო, დაახლოებით, 77.1 ათასი ლარის საჯარო მოსახლეობის თანხა.

სახელმწიფო შესყიდვების მართვა

არასათანადოდ დასაბუთებული დისკვალიფიკაცია

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტმა სატენდერო პროცესი წარმართა იმგვარად, რომ დაუსაბუთებლად მისცა პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 179.3 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

ქონების მართვა და განკარგვა

მიუღებელი შემოსავლები

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები, შემოსავლების ადმინისტრირების კუთხით, სუსტია:

- მუნიციპალიტეტმა იჯარით გაცემული ქონებიდან დროულად ვერ მიიღო 163.5 ათასი ლარის შემოსავალი;
- 2019-2020 წლებში იურიდიული პირების მიერ გადაუხდელობა დასუფთავების მოსაკრებელმა 287.0 ათასი ლარი შეადგინა.

იურიდიული პირების მართვა

იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ეფექტიანი მართვა – სხვადასხვა ა(ა)იპ ეწევა ერთსა და იმავე საქმიანობას და მათი ფუნქციები დუბლირებულია.

სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური დახმარების გაცემის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული მოსახლეობის ფინანსური დახმარების გაცემის წესი ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეების თანაბარ პირობებში ჩაყენებას

¹ ვერ იქნა ათვისებული 2,359.6 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 2,186.8 ათასი ლარი.

³ 2019 წელს - 1,392.2 ათასი ლარი, 2020 წელს - 896.9 ათასი ლარი.

და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

**მმართველობითი
გადაწყვეტილებები**

ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

რეკომენდაციები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ:

) ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დასაფინანსებლად.

) შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. რეგულარულად აწარმოოს შესყიდული ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, აამოქმედოს გარანტიის მექანიზმი ნაკლოვანებების/ხარვეზების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამოძწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

) დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რათა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განხორციელდეს დაუსაბუთებელი გარემოებებით, გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. შედეგად, დროულად მიიღება ის პროდუქტი, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის.

) ბიუჯეტის სწორად დაგეგმვისა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებას.

) განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენასა და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ:

) შეიმუშაოს კონტროლის სათანადო მექანიზმები საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და განკარგვის გასაუმჯობესებლად. დანერგოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სარგებლობაში გაცემული ქონებიდან მისაღები საიჯარო თანხის სრულად და დროულად

ამოღებას. ამასთანავე, ჩაატაროს მიუღებელი საიჯარო თანხების ინვენტარიზაცია და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები კუთვნილი თანხების მისაღებად.

) საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად რაციონალურად ხარჯვის ხელშეწყობის მიზნით, შეისწავლონ ა(ა)იპებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული სახსრები, შეაფასონ დაფუძნებული სუბიექტების სარგებლიანობისა და არსებული საკადრო პოლიტიკის საკითხი და მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელიც გაზრდის მათი საქმიანობის ეფექტიანობას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიში არ არის საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტია. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საქმიანობა

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებელისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და, სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც მოიცავს ერთ ქალაქს, ერთ დაბასა და 47 სოფელს, მისი ფართობია 364,2 კვ. კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 43.4 ათას კაცს.⁴ ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სამტრედია.⁵

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 6,259.0 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 19,556.4 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 2,545.3 ათასი ლარი; განათლება – 6,968.3 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 5,458.5 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 3,084.6 ათასი ლარი.

⁴ ინფორმაციის წყარო: www.imereti.gov.ge; www.geostat.ge– 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით.

⁵ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ბიუჯეტის შესრულება

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁶ მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁷

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2019-2020 წლების შემოსულობებმა – 41,658.6 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 43,872.1 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2019-2020 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წელი			2020 წელი			სულ ფაქტი
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
შემოსულობები	19,731.8	19,541.5	99%	21,719.8	22,117.1	102%	41,658.6
შემოსავლები	19,449.6	19,218.8	99%	21,562.8	21,684.6	101%	40,903.4
არაფინანსური აქტივების კლება	282.2	322.7	114%	157.0	432.5	275%	755.2
ფინანსური აქტივების კლება	–	–	–	–	–	–	–
ვალდებულებების ზრდა	–	–	–	–	–	–	–
გადასახდელები	25,446.6	22,247.3	87%	24,694.1	21,624.8	88%	43,872.1
ხარჯები	12,762.8	11,923.1	93%	11,846.0	10,963.5	93%	22,886.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,648.7	10,289.1	81%	12,778.0	10,591.2	83%	20,880.3
ფინანსური აქტივების ზრდა	–	–	–	–	–	–	–
ვალდებულებების კლება	35.1	35.1	100%	70.1	70.1	100%	105.2
ნაშთის ცვლილება	(-5,714.8)	(-2,705.8)		(-2,974.3)	492.3		–

ორივე საანგარიშო წლისათვის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁷ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონი. მუხლი 6. პუნქტი 1. ქვეპუნქტი „გ“.

და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სკოლების, სპორტული მოედნების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს, კერძოდ, 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 5,714,8 ათასი ლარი, 2019 წლისათვის დაიგეგმა ნაშთის სრულად ათვისება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების გამოყენებამ 2,705.8 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 3,009.0 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 1,392.0 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.⁸ 2020 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 2,974.3 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 492.3 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 3,501.3 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 896.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დასაფინანსებლად.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის მიმდინარეობისას, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები. დათვალიერებით გამოვლინდა სულ 1,244.6 ათასი ლარის ღირებულების ხარვეზებით შესრულებული სამუშაოები.

⁸ თავისუფალი ნაშთი - ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის, - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6.

მაგალითად, ეწერის საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზისა და გასახდელი ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 157.7 ათასი ლარი, დაზიანებულია.⁹

გარდა ამისა, 28 ობიექტზე, ღირებულებით 1,086.9 ათასი ლარი, დაფიქსირდა სხვადასხვა ხარვეზი,¹⁰ კერძოდ, დაზიანებულია სასწავლო დაწესებულებები,¹¹ ამბულატორიები, სპორტული მოედნები და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. (იხ. დანართი №1).

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მერიის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხობა, ძირითადად, სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენაც საზედამხედველო და საექსპერტო დაწესებულებების ვალდებულებაა.¹² დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ ჩაუტარებიათ ობიექტების მონიტორინგი, რაც მათ საშუალებას მისცემდა გამოეკვლიათ ხარვეზების მიზეზები და მიმწოდებლებისათვის მოეთხოვათ დაზიანებების გამოსწორება.¹³ შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით გამოსწორება.

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული ობიექტის მდგომარეობას მერია ამოწმებს ხარისხის დაცვის მიზნით დაწესებული ერთწლიანი საგარანტიო

⁹ NAT180018452, ხელშეკრულება №2, მიმწოდებელი შპს „ლაგი“. კედლებს აღენიშნება მსხვილი და წვრილი ბზარები და დაზიანებულია, ჩამოყრილია ნაღესი და საღებავი.

¹⁰ ლაშა თევზაძის ქუჩაზე ჩოგბურთის კორტები დაზიანებულია, თუმცა მუნიციპალიტეტს არ ჩაუბარებია ობიექტი და თანხა გადახდილი არ არის. მიმდინარეობს სასამართლო დავა.

¹¹ საჯარო სკოლები და ბაღები

¹² სხვადასხვა საექსპერტო კომპანია - შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“, შპს „ექსპერტ სერვისი“, „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“, შპს „რეალ ექსპერტი“, შპს „საექსპერტო აუდიტორული კომპანია ექსპერტ-აუდიტი“, შპს „რუსკა 2000“, ასევე მერიის ინსპექტირების ჯგუფი.

¹³ მიმართულია შპს „საგზაო“. ასევე, აუდიტის ჯგუფის მიერ ხარვეზების დაფიქსირების შემდეგ, მიმართეს მიმწოდებლებს (NAT200007595, CMR200077701, CMR190092314, NAT200007539) ხარვეზების გამოსწორებაზე. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, ხარვეზი გამოსწორებულია.

ვადის გასვლის შემდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მიმართავს მუნიციპალიტეტს საგარანტიო თანხის (2,5%) ანაზღაურების მოთხოვნით.¹⁴ აღნიშნული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების დროულ აღმოფხვრას.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში დანერგილი კონტროლის სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც მერიის ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობას, ასევე საექსპერტო მომსახურების შესყიდვას, რიგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დადგენილ ხარისხს. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 1,244.6 ათასი ლარის სამუშაოები, რომლებიც დაზიანებულია და საჭიროებს გამოსწორებას. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოეცვლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. რეგულარულად აწარმოოს შესყიდული ობიექტების მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, ამოქმედოს გარანტიის მექანიზმი ნაკლოვანებების/ხარვეზების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.2.2 შეუსრულებელი პროექტები

კრიტერიუმი: ხელშეკრულებების პირობებს მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. მიმწოდებლების მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს ყველა სამართლებრივი ღონისძიება მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების დასაცავად.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2019-2020 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შესრულებული არ არის 5 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 108.0 ათასი ლარი, მაგალითად:

- 1) მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2019 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება, ღირებულებით – 19.9 ათასი ლარი.¹⁵ მიმწოდებელზე გადარიცხულია ავანსი, 4.0 ათასი ლარის ოდენობით. სამუშაოები შესრულებული არ არის;
- 2) სოფელ ვაზისუბანში არტეზიული წყლის სარეზერვო ავზის დგარის მოწყობის მიზნით, 2019 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა

¹⁴ დაზიანებული ობიექტებიდან 5 შემთხვევაში მიმწოდებლებს აუნაზღაურდათ 9,2 ათასი ლარი, ასევე 5 შემთხვევაში თანხის დაკავება მოთხოვნილი არ არის.

¹⁵ NAT190007737 - შპს „რუბიკონი“

ხელშეკრულება, ღირებულებით – 5.9 ათასი ლარი.¹⁶ მიმწოდებელზე გადარიცხულია ავანსი – 1.2 ათასი ლარის ოდენობით. სამუშაოები შესრულებული არ არის.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებების შესაბამისად, მიმწოდებლებს წინასწარი ანგარიშსწორების უზრუნველყოფისთვის წარმოდგენილი ჰქონდათ საბანკო გარანტიები. მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს გარანტიის ანაზღაურების თაობაზე, რის გამოც დაკარგა ავანსად გაცემული თანხის – 5.2 ათასი ლარის დროულად დაბრუნების შესაძლებლობა.¹⁷

მუნიციპალიტეტმა დროულად არ გაატარა ყველა საჭირო ღონისძიება დანარჩენი სამი ხელშეკრულების შესასრულებლად, კერძოდ:

- 1) 2 მიმწოდებელზე¹⁸ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის დარიცხულია საჯარიმო სანქცია, თანხით – 2.2 ათასი ლარი. მიმწოდებლებს ჯარიმა არ გადაუხდიათ, ხოლო მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სხვა საჭირო ღონისძიებები, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ამასთანავე, არ მიუმართავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მიმწოდებლების შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით;¹⁹
- 2) შიდა საავტომობილო გზებზე ორმული შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2020 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება, ღირებულებით 39.0 ათასი ლარი.²⁰ სამუშაოების ნაწილი ჩაბარებულია და მიმწოდებელზე ანაზღაურებულია 11.2 ათასი ლარი.²¹ სამუშაოები დაუსრულებელია. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელზე პირგასამტეხლო – 2.0 ათასი ლარის ოდენობით დარიცხული არ არის.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა შეუსრულებელი ხელშეკრულებებისათვის არ გამოიყენა ზიანის ანაზღაურების ეფექტიანი მექანიზმი და არ მოითხოვა საბანკო გარანტია – 5.2 ათასი ლარი. ასევე, ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის მიმწოდებლების მიმართ დროულად არ გაატარა კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები, რის გამოც ვერ მიიღო საჯარიმო სანქცია 4.2 ათასი ლარის ოდენობით.

2.2.3 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²² მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

¹⁶ NAT190004749 - შპს „გოჩა“.

¹⁷ მუნიციპალიტეტმა 2020 წლის 10 მარტს მიმართა სასამართლოს, მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების ფარგლებში მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით. სასამართლო დავა არ დასრულებულა.

¹⁸ CMR190185077, შპს „ჭომა-გზა“ - გზების ორმული შეკეთება; NAT200005114, შპს „ჯიო“ - სანიადრე არხის რეაბილიტაცია.

¹⁹ შპს „ჯიოს“ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა მიმართა შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით, აუდიტის სამსახურის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ.

²⁰ NAT200012757, შპს „ამირანი“.

²¹ აღნიშნულმა მიმწოდებელმა სასამართლოს მიმართა მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ და მოითხოვა დამატებით 7.6 ათასი ლარის ანაზღაურება მის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის საფუძველზე, რომელიც მუნიციპალიტეტმა არ მიიჩნია ანაზღაურების საფუძველად.

²² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი „დ“.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცესი. გამოვლინდა, რომ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისი პროდუქტის მიღებას.

2019-2020 წლებში, სამშენებლო სამუშაოების²³ შესყიდვისთვის გაფორმებული 136 ხელშეკრულებიდან, 81-ში განხორციელდა სხვადასხვა ცვლილება, რომელიც უკავშირდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირებას. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ პროექტებში არ იყო გათვალისწინებული ყველა სამუშაო, ხარჯთაღრიცხვებში არსებობდა შეცდომები, დაუზუსტებელი იყო მოცულობები და სხვ.

პროექტებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას. შედეგად, 59 ინფრასტრუქტურული პროექტი, საერთო ღირებულებით – 12,930.4 ათასი ლარი,²⁴ დასრულდა 4-დან 202 დღემდე დაგვიანებით და შესაბამისი სერვისები მოსახლეობას მიეწოდა დაგვიანებით, მაგალითად:

1) 2019 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის და გასახდელის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 148.5 ათასი ლარი.²⁵ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულებაში განხორციელდა 3 ცვლილება, მათ შორის, დაზუსტდა მოცულობები, სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკი. შედეგად, სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 12.0 ათასი ლარით, საბოლოო მიწოდების ვადა - 62 დღით.²⁶

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები გავლენას ახდენდა სამუშაოების მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა შემსყიდველის პირობებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

2.2.4 ხელშეკრულების ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად,²⁷ შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას. სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ამასთანავე, დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება

²³ 20.0 ათას ლარს ზემოთ.

²⁴ 2019 წელი - 4,019.4 ათასი ლარი, 2020 წელი - 8,911.0 ათასი ლარი.

²⁵ NAT180018452

²⁶ მიმწოდებელი მუშაობდა საჯარიმო სანქციების პირობებში.

²⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 33.

შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.²⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტმა 5 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სხვადასხვა სოფელში გზის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 2,727.3 ათასი ლარი.²⁹ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების შესრულების ვადა გადაუწია ცუდი კლიმატური პირობების მოტივით, გარემოს ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ მიწოდების ვადების ზრდა სათანადოდ არ არის არგუმენტირებული. კერძოდ, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში არ შექმნილა რაიმე სახის ფორსმაჟორული სიტუაცია, ხოლო მოსალოდნელი კლიმატური პირობებისა და საშუალო სტატისტიკური ნალექიანი ამინდების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის ცნობილი იყო როგორც შემსყიდველის, ასევე მიმწოდებლისათვის. ფარული სამუშაოების აქტების შესწავლით ასევე დგინდება, რომ მიმწოდებლები სამუშაოებს ასრულებდნენ ნალექიან დღეებშიც. შესაბამისად, უამინდობის მოტივით სამუშაოს დასრულების ვადის გადაწევა ვერ ჩაითვლება ობიექტურად. მერას არ უნდა გაეხანგრძლივებინა მიწოდების ვადა და უნდა აემოქმედებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ გააკონტროლა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობა და სამუშაოების დასრულების ვადები 5 შემთხვევაში დაუსაბუთებლად, არაობიექტური მიზეზებით 18-38 დღით გაზარდა. შედეგად, მიმწოდებლებს არ დააკისრა, მინიმუმ, 77.1 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია.³⁰ ამასთანავე, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ხელშეკრულების პირობები გაუარესდა და მოსახლეობას დაგეგმილი პროექტები დაგვიანებით მიეწოდა.

რეკომენდაცია №3

მერიამ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რათა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განხორციელდეს დაუსაბუთებელი გარემოებებით, გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. შედეგად, დროულად მიიღება ის პროდუქტი, რომელიც დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის.

2.3 მოსახლეობის წყალმომარაგება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები: წყალმომარაგების³¹ და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.³² კანონმდებლობის მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია

²⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

²⁹ NAT190013752, NAT200006308, NAT20006577, NAT200006753, NAT20007022.

³⁰ 2020 წლის ხელშეკრულებები: №93 - 9.4 ათასი ლარი, №103 - 22.1 ათასი ლარი, №107 - 25.3 ათასი ლარი, №123 - 16.1 ათასი ლარი, 2019 წლის ხელშეკრულება №197 - 4.2 ათასი ლარი.

³¹ მათ შორის ტექნიკური წყლით მომარაგება.

³² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.³³

ფაქტობრივი გარემოება: ქ. სამტრედიის, დაბა კულაშში, მელაურსა და ნაბაკეში წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. დანარჩენი დასახლებული პუნქტების წყალმომარაგება ფუნქციურად არ ევალდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არც ერთ სუბიექტს.

2019-2020 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სულ გაწეულია მხოლოდ 186.5 ათასი ლარის ხარჯი. აქედან, თანხის ნაწილი – 15.0 ათასი ლარი დაიხარჯა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის მიერ შერჩეულ პროექტებზე.³⁴ შედეგად, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არასაკმარისია. მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18,447 ოჯახიდან, 8,926 ოჯახს წყალი არ მიეწოდება ცენტრალიზებულად,³⁵ ხოლო მათ შორის 2,060 ოჯახს წყალი მიეწოდება გრაფიკით ან/და შეფერხებით.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევას. ჭები და სათავე ნაგებობები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის დაქლორვის საშუალებებით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სოფლის მოსახლეობაზე მიწოდებული წყლის ხარისხი არ მოწმდება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების სხვადასხვა პრობლემა: მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს, მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებები საკითხის მოსაგვარებლად არასაკმარისია.

რეკომენდაცია №4

მერია, საკრებულოსთან შეთანხმებით, დაგეგმოს და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგების მოწესრიგებასა და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.4 სახელმწიფო შესყიდვების მართვა

2.4.1 არასათანადოდ დასაბუთებული დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.³⁶

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში მსჯელობს, რამდენად შეესაბამება პრეტენდენტების მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია

³³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, მუხლი 3

³⁴ არტეზიული ჭის მოწყობა, ავზებისა და სხვადასხვა მასალების შეძენა.

³⁵ სარგებლობენ ჭებითა და წყაროებით

³⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი ა.

სატენდერო მოთხოვნებს.³⁷ თუ ტექნიკური დოკუმენტაცია საჭიროებს დაზუსტებას, სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ.³⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს მერიამ დააფინანსა მუნიციპალიტეტის გზებზე ასფალტბეტონის საფარის დაგების სამუშაოები.³⁹ ტენდერში მონაწილეობდა 4 პრეტენდენტი. დაბალი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ არ დააზუსტა ტექნიკური დოკუმენტაცია.⁴⁰ მომდევნო პრეტენდენტს,⁴¹ ტექნიკური დოკუმენტების დაზუსტების შემდეგ, სატენდერო კომისიამ მისცა დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა შეიცავდა ხარვეზებს. შედეგად, ხელშეკრულება გაფორმდა მომდევნო პრეტენდენტთან, რითაც შესყიდვის ღირებულება 179.3 ათასი ლარით გაიზარდა.

სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ ტექნიკური ხასიათის ხარვეზები პრეტენდენტს დაშვებული ჰქონდა თავდაპირველად ატვირთულ ხარჯთაღრიცხვაშიც. შესაბამისად, კომისია ვალდებული იყო, მაგრამ დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს ზუსტად არ მიუთითა დასაზუსტებელი პოზიციების შესახებ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტთა არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 179.3 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.4.2 შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დაუსაბუთებელი ზრდა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვები განხორციელოს რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.⁴² სატენდერო ან/და სახელშეკრულებო პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აუარესებს შემსყიდველი ორგანიზაციის პირობებს, საჭიროებს სათანადო დასაბუთებას.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეისყიდა წლის განმავლობაში განსახორციელებელი 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება. სატენდერო კომისიის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების დაუსაბუთებლად გაზრდით წარმოიქმნა საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკი. კერძოდ:

მომსახურების შესყიდვის მიზნით კომისიამ ტენდერი გამოაცხადა 2020 წლის 3 იანვარს.⁴³ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო წლის განმავლობაში ჯამურად 6,000.0 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. მომსახურების სავარაუდო ღირებულება იანგარიშებოდა

³⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლები: 4 და 27.

³⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 27, პუნქტი 5.

³⁹ NAT200000609, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - 2,126.5 ათასი ლარი.

⁴⁰ შპს „კომპანია ბლეკ სი გრუპი“, შეთავაზება - 1,842.1 ათასი ლარი.

⁴¹ შპს „საგზაო“, შეთავაზება - 1,888.9 ათასი ლარი.

⁴² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

⁴³ NAT200000001

კონკრეტული ობიექტის ღირებულების 2.5%-ის ოდენობით, რაც ყველა პროექტისათვის 150.0 ათას ლარს შეადგენდა. ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, რადგან მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა პრეტენდენტმა.

2020 წლის 17 იანვარს მუნიციპალიტეტმა განმეორებით გამოაცხადა ტენდერი საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით.⁴⁴ აღსანიშნავია, რომ კომისიამ საზედამხედველო სამუშაოების ღირებულება – 6,000.0 ათასი ლარი დატოვა უცვლელი, თუმცა მომსახურების ღირებულება 2.5-დან 3%-მდე გაზარდა. შესაბამისად, ტენდერის სავარაუდო ღირებულება 150.0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 180.0 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები, რამ გამოიწვია მომსახურების სავარაუდო ღირებულების 30.0 ათასი ლარით ზრდა. საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის პროცესის შესწავლით დგინდება, რომ მუნიციპალიტეტმა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება გაზარდა დაუსაბუთებლად, რაც არ იყო განპირობებული წინა შესყიდვის უარყოფითი შედეგით.⁴⁵ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დაუსაბუთებელ ზრდას ასევე ადასტურებს შემდეგი გარემოებები:

- 2020 წლის 11 მაისს და 10 სექტემბერს, მუნიციპალიტეტმა კიდევ ორი ტენდერი გამოაცხადა საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე.⁴⁶ სავარაუდო ღირებულებამ ერთ შემთხვევაში შეადგინა განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების ჯამური ღირებულების 2.95%, ხოლო მეორე შემთხვევაში - 2.06%.
- მაისში გამოცხადებულ ტენდერში დაბალი ფასი დააფიქსირა და ხელშეკრულება გაუფორმდა, იანვარში გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ - განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტის ღირებულების 2.06%. სექტემბერში გამოცხადებულ ტენდერში დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ჯეოექსპერტმა“ - განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტის ღირებულების 1.5%.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მერიამ, შესყიდვის განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. ტენდერის გამოცხადებისას, შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე, კომისიამ დაუსაბუთებლად გაზარდა საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის ღირებულება და გასწია არაეკონომიური ხარჯი.

2.5 ქონების მართვა და განკარგვა

2.5.1 მიუღებელი საიჯარო შემოსავლები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.⁴⁷

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო

⁴⁴ NAT200001178

⁴⁵ პრეტენდენტების დაბალი ინტერესი შესაძლოა გამოიწვია ტენდერის სადღესასწაულო დღეებში გამოცხადებამ.

⁴⁶ NAT200007327, NAT200014073

⁴⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 109, პუნქტი 2.

განსაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ: ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი ქირის 0.1%, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცხადებულ დღეზე.⁴⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტს სარგებლობის უფლებით გაცემული ჰქონდა 131 ობიექტი.⁴⁹ ქონებით სარგებლობის საფასურის ადმინისტრირების პროცესი მერიის მიერ ხორციელდებოდა ხარვეზებით, კერძოდ:

2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გადაუხდელი საიჯარო ქირის ნაშთი 55.9 ათას ლარს შეადგენდა, 2021 წლის პირველი იანვრისათვის კი 107.6 ათას ლარამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ქონებით მოსარგებლეების ნაწილი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იხდიდა სარგებლობის საფასურს. 2020 წლის დასაწყისში, 19 მოსარგებლის შემთხვევაში, მათი დავალიანება წლიური სარგებლობის საფასურს, მინიმუმ – 2-ჯერ და მაქსიმუმ 6-ჯერ აღემატებოდა, მაგალითად:

- J მოიჯარეს 2014 წელს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც წლიური სარგებლობის საფასურია 840 ლარი, 2020 წლის დასაწყისში ერიცხებოდა 3.1 ათასი ლარის დავალიანება;
- J მოიჯარეს 2016 წელს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც წლიური სარგებლობის საფასურია 1.5 ათასი ლარი, 2020 წლის დასაწყისში ერიცხებოდა 5.0 ათასი ლარის დავალიანება;
- J მოიჯარეს 2016 წელს გაფორმებული აღნაგობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც წლიური სარგებლობის საფასურია 4.2 ათასი ლარი, 2020 წლის დასაწყისში ერიცხებოდა 8.8 ათასი ლარის დავალიანება;

გადაუხდელ საიჯარო ქირაზე მერია ხელშეკრულების მიხედვით არიცხავდა საურავს. 2020 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მეიჯარეებზე დარიცხულია საურავი 3.2 ათასი ლარის, ხოლო 2021 წლის 1-ლი იანვრისათვის – 2.1 ათასი ლარის ოდენობით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს ქონების მართვისა და განკარგვის ხარვეზები. მერია ქმედით ღონისძიებებს არ ატარებდა დავალიანების მქონე მოსარგებლეების საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, მუნიციპალიტეტი ცალმხრივად არ წყვეტდა ხელშეკრულებებს და არ იყენებდა კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ბერკეტებს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

რეკომენდაცია №5

მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს კონტროლის სათანადო მექანიზმები საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და განკარგვის გასაუმჯობესებლად. მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სარგებლობაში გაცემული ქონებიდან მისაღები საიჯარო თანხის სრულად და

⁴⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 28, პუნქტი 3, „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁹ მათ შორის, 39 ხელშეკრულება გაფორმდა 2019-2020 წლებში.

2.5.2 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

დროულად ამოღებას. ამასთანავე, ჩაატაროს მიუღებელი საიჯარო თანხების ინვენტარიზაცია და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები კუთვნილი თანხების მისაღებად.

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁵⁰ სამტრედიის მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.⁵¹

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე,⁵² დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელები არიან იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს.

ფაქტობრივი გარემოება: წარმოდგენილი მონაცემებით, 2021 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ გადაუხდელი დასუფთავების მოსაკრებელი შეადგენს 287.0 ათას ლარს.

იურიდიულ პირები დასუფთავების მოსაკრებელს იხდიან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს საჯარიმო სანქციას მოსაკრებლის არადროულად გადახდის შემთხვევაში. დავალიანების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს 2019-2020 წლებში იურიდიული პირების მიმართ საჯარიმო სანქცია არ გამოუყენებია და კუთვნილი თანხების მისაღებად არ მიუმართავს სხვა ქმედითი ღონისძიებებისათვის.

დასკვნა

მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს იურიდიული პირებისგან მოსაკრებლის ამოღების სათანადო ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №6

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვისა და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებას.

2.6 იურიდიული პირების მართვა

2.6.1 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს, დააფუძნოს ა(ა)იპ ან შპს, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს.⁵³ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციაში და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁵⁴

⁵⁰ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი პირველი.

⁵¹ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილება.

⁵² მუხლი 2.

⁵³ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 1 და პუნქტი 2, მუხლი 106.

⁵⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ.“

ფაქტობრივი გარემოება: დაფუძნებული სუბიექტების⁵⁵ ფუნქციონირების პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო იურიდიული პირების ეფექტიანი მართვა, რის გამოც მათ საქმიანობაში გამოვლინდა ორგანიზაციული ხარვეზები, კერძოდ:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაფუძნებულია დაწყებითი სამუსიკო განათლების მიმართულების 4 ა(ა)იპ და სახელოვნებო მიმართულების 2(ა)იპ.⁵⁶ 2019-2020 წლებში ა(ა)იპ-ების დაფინანსებაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 824.4 ათასი ლარი.
- სპორტული მიმართულებით დაფუძნებულია 1 კომპლექსური სპორტული სკოლა და 3 სხვადასხვა სპორტული მიმართულების კლუბი: ფრენბურთის, ხელბურთისა და ჭიდაობის. 2019-2020 წლებში აღნიშნულ ა(ა)იპ-ებზე დახარჯულია 978.82 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირების ფუნქციები მსგავსია და მომხმარებელს სთავაზობს ერთნაირ მომსახურებას.⁵⁷ მათი საქმიანობა თავისი მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეუცვლელად, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია განხორციელდეს ერთი ორგანიზაციის ადმინისტრაციის პირობებში. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რატომ არის უფრო ეფექტიანი და მეტი შედეგის მომტანი სპორტული მიმართულების 4 და სამუსიკო/სახელოვნებო სფეროს 6 სხვადასხვა ა(ა)იპ-ის დამოუკიდებელი ფუნქციონირება და შესაბამისი ადმინისტრაციული ხარჯების გაწევა. 2019-2020 წლებში ა(ა)იპ-ებში ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებაზე სულ დაიხარჯა 534.8 ათასი ლარი.⁵⁸

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები ვერ უზრუნველყოფენ ფინანსური რესურსების მიზანშეწონილ ხარჯვას. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა ობიექტური საჭიროებით არის განპირობებული ზოგიერთ ა(ა)იპ-ში ადმინისტრაციული ხარჯების ცალ-ცალკე გაწევა.

რეკომენდაცია №7

საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად რაციონალურად ხარჯვის ხელშეწყობის მიზნით, მერიამ, საკრებულოსთან ერთად შეისწავლონ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული სახსრები, შეაფასონ დაფუძნებული სუბიექტების სარგებლიანობისა და არსებული საკადრო პოლიტიკის საკითხი და მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელიც გაზრდის მათი საქმიანობის ეფექტიანობას.

2.6.2 ა(ა)იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: 2019 წელს იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებმა დააფუძნეს ა(ა)იპ – იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. სუბიექტის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს იმერეთის რეგიონის იმიჯის ხელშეწყობას, ტურიზმის პოპულარიზებას, რეგიონში უნიკალური

⁵⁵ 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებდა 24 იურიდიულ პირს. მათ შორის, 2 შპს-ს და 22 ა(ა)იპ-ს. აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან იურიდიული პირების დაფინანსებაზე გაცემულია 11,758.01 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტის გადასახდელების 27 %-ს შეადგენს.

⁵⁶ ქ. სამტრედიის, გომის, დაბა კულაშისა და ტოლების სამუსიკო სკოლა. ჯიხაიშის და ქ. სამტრედიის სახელოვნებო სკოლა. სახელოვნებო სკოლები სამხატვრო და ქორეოგრაფიულ მიმართულებასთან ერთად, ბავშვებს ასევე სთავაზობს სამუსიკო მიმართულებას.

⁵⁷ მუსიკალური სკოლები -დაწყებით სამუსიკო განათლებას, სახელოვნებო სკოლები -ხელოვნებისა და სამუსიკო სფეროს მიმართულებით, სპორტული სკოლები -სპორტის სხვადასხვა სახეობების მიმართულებით.

⁵⁸ სახელოვნებო/სამუსიკო სკოლებში - 208.9 ათასი ლარი, სასპორტო სკოლებში - 191.6 ათასი ლარი.

ტურისტული პროდუქტების შემუშავებას და სხვ. მუნიციპალიტეტს, როგორც დამფუძნებელს, აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის საქმიანობასა და მართვაში.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁵⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2019 წელს მუნიციპალიტეტმა 7.6 ათასი ლარით, ხოლო 2020 წელს – 13.4 ათასი ლარით დააფინანსა ა(ა)იპ – იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობები განახორციელა აღნიშნულმა სუბიექტმა და შედეგად, რა სარგებელი მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტმა ტურიზმის განვითარების კუთხით. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 21.0 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა ვერ იქნა დასაბუთებული. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს, როგორც ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს, ვალდებულების მიუხედავად სუბიექტის საქმიანობა არ გაუკონტროლებია.

2.7 სოციალური უზრუნველყოფა

2.7.1 სოციალური დახმარების გაცემის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს განახორციელოს ღონისძიებები მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების გაწევის მიზნით.⁶⁰ კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, სოციალური დახმარების გასაცემად განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამული კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ბენეფიციარი.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მუხლით 2019-2020 წლებში სულ დახარჯული 2,846.2 ათასი ლარი. მათ შორის, 148.2 ათასი ლარი გაცემულია პროგრამიდან – „ერთჯერადი ფულადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში.“⁶¹ აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა ბენეფიციარის ერთჯერად დახმარებას 100-500 ლარის ოდენობით. თანხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა მერიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი (კომისია).

პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს განსაზღვრული დახმარების გაცემის კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით კომისიამ გასაცემი თანხის მოცულობა უნდა განსაზღვროს. შესაბამისად, ბენეფიციარებზე გასაცემი კონკრეტული თანხის ოდენობას კომისია ადგენდა საკუთარი შეხედულებისამებრ. არასათანადო კრიტერიუმის არსებობის პირობებში არ არის დასაბუთებული – როგორ და რის საფუძველზე განსაზღვრავდა კომისია გასაცემი დახმარების ოდენობას.

2019-2020 წლებში ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამიდან დაფინანსდა 835 ბენეფიციარი და არ დაკმაყოფილდა 419 პირის განცხადება. გამოვლინდა, რომ სოციალური დახმარება გაეწიათ ისეთ ბენეფიციარებსაც,⁶² რომელთა მძიმე სოციალური მდგომარეობა წარმოდგენილი დოკუმენტაციით

⁵⁹ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონი. მუხლი 6. პუნქტი 1. ქვეპუნქტი „გ“.

⁶⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 4.

⁶¹ 2019 წელს – 109.4 ათასი ლარი, 2020 წელს – 38.8 ათასი ლარი.

⁶² მათ შორის, მერიის მიერ შექმნილ იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირებს.

ვერ დასტურდება. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში დახმარება გაცემულია არაერთჯერადად.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, იმ პირთა დოკუმენტაცია, რომელთაც უარი ეთქვათ დახმარების მიღებაზე, კომისიური წესით არ განხილულა. აქედან გამომდინარე, ბენეფიციართა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევები მუნიციპალიტეტის მხრიდან დასაბუთებული არ არის და გაურკვეველია რა მოტივით ეთქვათ უარი.

დასკვნა

ზოგადი შინაარსის კრიტერიუმში მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებზე გაცემული დახმარებების ფარგლებში ვერ უზრუნველყოფს თანხების სამართლიან და ეფექტიან განაწილებას, ხელს უწყობს მოსახლეობის არათანაბარ პირობებში ჩაყენებას და ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს. მუნიციპალიტეტს სათანადოდ არ აქვს დასაბუთებული ბენეფიციარებზე დახმარებების გაცემის ოდენობები და დახმარების მსურველთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევები, რაც მიუთითებს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარების გაცემის პროცესის ხარვეზებზე.

2.7.2 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შეიმუშაოს პროგრამები/განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიება და ამ მიზნით გააფორმოს ხელშეკრულებები შესაბამის დაწესებულებებთან. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება და მონიტორინგი გაუწიოს თანხების ხარჯვას.⁶³

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში პროგრამის ფარგლებში ორგანიზაციაზე გაცემულმა დაფინანსებამ შეადგინა 93.9 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, 65.9 ათასი ლარი დახარჯულია (მერიის მიერ გაცემული დაფინანსების 70%) წითელი ჯვრის თანამშრომელთა ხელფასებში. დანარჩენი 28.0 ათასი ლარით დაფინანსებულია სხვა პროგრამული ხარჯები.

პროგრამის მიზანი იყო მოსახლეობის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლის ფარგლებში დაიგეგმა შემდეგი ამოცანები:

-)/ საჭიროებაზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება სოციალურად დაუცველ ფენებს;
-)/ დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის პრევენცია უსაფრთხო ცხოვრებისათვის;
-)/ თემების ხელმისაწვდომობა ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურებაზე.

აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ მუნიციპალიტეტი ფლობდა ინფორმაციას ორგანიზაციაზე გაცემული დაფინანსების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის მერია არ ატარებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მონიტორინგს პროგრამით დაგეგმილი ამოცანების შესრულებასა და დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე.

⁶³ 15 იანვარი 2019 წელი -ხელშეკრულება №15; 6 იანვარი 2020 წელი -ხელშეკრულება №4

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია თუ რა შედეგი მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შედეგად, მერიას არ შეუსწავლია გახარჯული თანხების ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

2.8 ადმინისტრაციული ხარჯები

2.8.1 საკრებულოს წევრებზე დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.⁶⁴

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი არის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.⁶⁵

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2019-2020 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 95.1 ათასი ლარი.⁶⁶ საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა - ყოველთვიურად 427 ლარის ოდენობით.⁶⁷

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 95.1 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო

დასკვნა

⁶⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁶⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“, მუხლი 5, პუნქტი 6.

⁶⁶ 2019 წელს - 49.3 ათასი ლარი, 2020 წელს - 45.8 ათასი ლარი.

⁶⁷ საკრებულოს 2019 წლის 8 თებერვლის №4 დადგენილება.

პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.9 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.9.1 დელეგირებული უფლებამოსილების საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებების დელეგირების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.⁶⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსება. უფლებამოსილების განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტმა მიიღო 798.2 ათასი ლარი. გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯა 109 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რომლის დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ.

მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუმართავს. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ უმსჯელიათ შეემცირებინათ ხარჯები და საქმიანობა განხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

რეკომენდაცია №8

მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. შესაბამისად, სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

2.9.2 საბიუჯეტო ცვლილებების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების (მოცულობის) ყოველწლიური ზრდის⁶⁹ საფუძველზე მიღებული გაზრდილი ფინანსური რესურსები შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებული გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები, სპორტული და სააღმზრდელო დაწესებულებები, სხვა ობიექტები) მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრებისა.⁷⁰

⁶⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 17, პუნქტი 2.

⁶⁹ დასაგეგმი საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებსა და წინა წლის დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებს შორის დადებითი სხვაობისას.

⁷⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 155, პუნქტი 3.

ფაქტობრივი გარემოება: წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით საკუთარი შემოსულობები განისაზღვრა 11,464.0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 12,615.6 ათასი ლარის შემოსულობები, ანუ გაზარდა 1,151.6 ათასი ლარით. მიუხედავად ამისა, შემოსულობებს შორის დადებითი სხვაობა მუნიციპალიტეტმა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არ მიმართა.⁷¹ ანალოგიურად, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, საკუთარი შემოსულობებს შორის დადებითმა სხვაობამ შეადგინა 931.5 ათასი ლარი, თუმცა მუნიციპალიტეტმა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაზარდა მხოლოდ 286.3 ათასი ლარით. ორივე საანგარიშო წლისთვის საკუთარი შემოსულობების მატება მუნიციპალიტეტმა ძირითადად დაგეგმა ხარჯებში. კერძოდ, გაზარდა „საქონლისა და მომსახურებისა“, და „სუბსიდიის“ მუხლები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული მოთხოვნები და 2019-2020 წლებში წარმოქმნილი ჭარბი საკუთარი შემოსულობები, ნაცვლად არაფინანსური აქტივების ზრდით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, ძირითადად დაგეგმა ხარჯების დასაფინანსებლად.⁷²

2.9.3 თანამშრომელთა აღრიცხვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ხელფასის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს: ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები“.⁷³

მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: 2018 წელს მუნიციპალიტეტმა 5.4 ათას ლარად შეიძინა⁷⁴ ადმინისტრაციულ შენობაში თანამშრომელთა სამუშაო საათების აღრიცხვის სისტემა (დამონტაჟებულია ტურნიკეტი), რომელიც აუდიტის მიმდინარეობისას არ ფუნქციონირებდა. აღნიშნულის გამომწვევ მიზეზად დასახელებულია ტურნიკეტის ტექნიკური გაუმართაობა. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლისთვის, არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტში ასევე არ აწარმოებდნენ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვის

⁷¹ 1,683.6 ათასი ლარიდან შემცირდა 1,653.1 ათას ლარამდე (სხვაობა 30.5 ათასი ლარი).

⁷² ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები, სპორტული და სააღმზრდელო დაწესებულებები, სხვა ობიექტები) მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრების გარდა.

⁷³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 14.

⁷⁴ SPA180006307.

ჟურნალს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ ახორციელებდა თანამშრომელთა სამსახურში მოსვლისა და წასვლის დროის იდენტიფიცირებასა და შესაბამის კონტროლს. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური არ აწარმოებდა მოქმედი კანონმდებლობით⁷⁵ დადგენილ, სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელს და ხელფასების დარიცხვა/გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ საშტატო ნუსხის საფუძველზე.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული ტურნიკეტი არ ფუნქციონირებს, რის გამოც 5.4 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში სამუშაო დროის აღრიცხვის მიზნით სხვა საშუალებები არ გამოიყენება და ხელფასების გაანგარიშება/გაცემა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შეუსაბამოდ.

2.9.4 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁷⁶ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მერიას 2019-2020 წლებში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩაუტარებია, მათ შორის, არც უძრავი ქონების ინვენტარიზაცია (სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ). შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება. ასევე, ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №9

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენასა და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

⁷⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“, დანართის ფორმა N019.

⁷⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული წესი „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ მუხლი 4.

2.10 შიდა კონტროლის სისტემა

2.10.1 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა.⁷⁷ სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. სამსახურმა უნდა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. დასახული მიზნების მისაღწევად შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია სისტემური ხარვეზების აღმოფხვრაზე და მათი შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ფაქტობრივი გარემოება. მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. 2019 წელს სამსახურმა ჩაატარა დაფუძნებული იურიდიული პირების 5 აუდიტორული შემოწმება, ხოლო 2020 წელს აუდიტი არ ჩატარებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია არასაკმარისი ადამიანური რესურსით. კერძოდ, მონოტორინგისა და შიდა აუდიტის განყოფილებას 2020 წელს აღარ ჰყავდა თანამშრომელი,⁷⁸ ხოლო ინსპექტირების განყოფილებაში დასაქმებული 2 თანამშრომელი ძირითადად პასუხისმგებელი იყო მერიის თანამშრომელთა აღრიცხვასა და კონტროლზე. შიდა აუდიტის მიზანია მუნიციპალიტეტის ინფორმირება არსებულ ხარვეზებზე და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც მიმართულია სისტემური ხარვეზების გამოსწორებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დროულად დაეკომპლექტებინა შიდა აუდიტის სამსახური და ჩატარებინა აუდიტები, 2020 წელს შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირებამ ვერ უზრუნველყო სამსახურის ძირითადი მიზნის მიღწევა და მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაუმჯობესება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს გამოვლენილ დარღვევებზე გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრასა და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, რეკომენდაციები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. სამსახურს ასევე არ განუხორციელებია შემოწმებული ობიექტების რისკის შეფასების სათანადო პროცედურები და სისტემური დარღვევების იდენტიფიცირება, რომელთა საფუძველზე ობიექტების საქმიანობაში ძირითადი რისკები უნდა გამოვლენილიყო.

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუფასებია, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს

დასკვნა

⁷⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

⁷⁸ 2019 წელს მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილებაში დასაქმებული იყო მხოლოდ ერთი ადამიანი - განყოფილების უფროსი.

რეკომენდაცია №10

მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

**2.11 წინა პერიოდში
ჩატარებული აუდიტის
შედეგად გამოვლენილი
დარღვევა-ნაკლოვანებების
მდგომარეობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- 1) გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;
- 2) ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების ვადები ზოგ შემთხვევაში უსაფუძვლოდ არის გაზრდილი;
- 3) მუნიციპალიტეტში ისევ არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, შესაბამისად, კვლავ მოუწესრიგებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობები;
- 4) მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.
- 5) მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია ღონისძიებები საიჯარო დავალიანებების მისაღებად და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისთვის.

აუდიტორები**ხელმოწერა**

ქრისტინე ევალაძე
უფროსი აუდიტორი

სოფიო ბელთაძე
აუდიტორი

ლელა მიქაძე
აუდიტორი

დანართები

დანართი №1

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები (ათასი ლარი)

N	spa/cmr	მიმწოდებელი	დირეზი	სამუშაოს დასახელება	გამოვლენილი ზარბეზები
1	CMR190123441	ი/მ ვაჟა ტრაპიძე	19.1	გორმალის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ერთ ოთახში ჭერი ჩამოვარდნილია (ზედა სართულზე, ბაღში გაფუჭებული კანალიზაციის გამო), ასევე ნესტისგან დაზიანებულია კედლები და ჩამოყრილია ბათქაში.
2	CMR190123441	ი/მ ვაჟა ტრაპიძე	23.5	ტოლგის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები	კედლები დაზიანებულია ნესტისგან, ერთი ოთახის კედელი სრულად დაზიანებულია, ლამინატი ზოგ ადგილას ამოხრულია, ჩამოყრილია ბათქაში.
3	NAT190014150	შპს „კლაზმა“	17.3	სოფელ ტოლგის საჯარო სკოლაში საპირფარეშოების სარეაბილიტაციო სამუშაოები	რამდენიმე ადგილას დაზიანებულია პლინტუსები, კედლებზე აღინიშნება მცირედი ბზარები, ზოგ ადგილას ჩამოყრილია კედლის საღებავი.
4	NAT190014153	შპს „არტ მშენი“	16.3	სოფელ ნოდის საჯარო სკოლის საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოები	კედლებს აღენიშნება მცირედი ბზარები, გადაცილილია საღებავი.
5	NAT200007595	ი/მ ჯაბა მოლაშხია	22.6	სოფელ ნიგორზღვის სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	წყლის ავზი დაზიანებულია, არ იკავებს წყალს და, შესაბამისად, საპირფარეშოებს წყალი არ მიეწოდება; ნესტის გამო დაზიანებულია კედლები, მოშენების გარეთა კედლები დაზიანებულია.
6	CMR190134581	შპს „გუდა“ 1979	31.9	სოფელ გომის საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	ხშირი წვიმების დროს სეპტიკი ივსება წყლით და საპირფარეშოს ავზის დაცლის დროს წყალი ამოდის ტრაპიდან.
7	NAT190013749	შპს „სამტრედ მშენი“	33.5	სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლაში საპირფარეშოს მოწყობა	კედლები დაზიანებულია ნესტისგან, ზოგ ადგილას კედლებიდან გადაცილილია საღებავი.
8	CMR200077701	შპს „გუდა 1979“	6.8	სოფელ დიდ ოფეთში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	დაზიანებულია მავთულბადე, შეღებილი არ არის; მოედნის გვერდებზე ზოგ ადგილას სამაგრი რკინა ჩამოხსნილია და ღობე დამაგრებული არ არის, კარი ჩამოხსნილია.
9	NAT200008518	ი/მ ზაზა ინწირველი	30.8	სოფელ ოფეთის პირველ საჯარო სკოლაში სველი წერტილისა და პანდუსის მოწყობა	სკოლას აქვს წყალთან დაკავშირებული პრობლემა, დაზიანდა წყლის მილები, წყლის ავზში წყალი არ კავდება და, შესაბამისად, წყალი არ მიეწოდება საპირფარეშოებს; ცალი კედელი ნესტისგან დაზიანებულია, ჭერიდან წყალი ჩამოდის და დაზიანებულია.
10	NAT200007539	შპს „გუდა 1979“	32.9	სოფელ დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის მცირე რეაბილიტაცია	კედლები დაზიანებულია ნესტისგან, ზოგ ადგილას კედლებიდან გადაცილილია საღებავი, საპირფარეშოს კარი ჩამოვარდნილია.
11	CMR190124131	შპს „პირამიდა MM“	30.0	დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის რეაბილიტაცია	კედლებზე ზოგ ადგილას ბზარებია და გადაცილილია საღებავი, კედლები ზოგ ადგილას ნესტიანია, ორ ადგილას მეტლახი ჩამოტეხილია.

12	NAT190013251	შპს „პირამიდა MM“	30.6	სოფელ იანეთის საჯარო სკოლის მცირე სარეზიდუალური სამუშაოები	ზოგ ადგილას ჭერი ჩამოწეულია, ონკანები მოშლილია.
13	CMR190134581	შპს „გუდა 1979“	30.3	სოფელ ბაშის საჯარო სკოლის მცირე სარეზიდუალური სამუშაოები	წყლის ონკანები გამოსულია მწყობრიდან, ერთი კედელი ნესტისგან დაზიანებულია, აქვს მცირე ბზარები და გადაცილია საღებავი.
14	NAT180018452	შპს „ლაგი“	157.7	ეწერის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზისა და გასახდელის სარემონტო სამუშაოები	კედლებს აღენიშნება მსხვილი და წვრილი ბზარები, ნესტისგან დაზიანებულია კედლები, ჩამოყრილია ნაღესი და საღებავი.
15	CMR200073719	შპს „პირამიდა MM“	11.8	სოფელი გვიმრალა, ახალსოფელი, დაბლა ეწერი – ამბულატორიის სარეზიდუალური სამუშაოები	დაზიანებულია კედლები, ჩამოყრილია ნაღესი და გადაცილია საღებავი.
16	CMR190114791	ი/მ ბაკურ ბაკურაძე	15.5	სოფელ მელაურში ადმინისტრაციული შენობისა და ბიბლიოთეკის სარეზიდუალური სამუშაოები	ჟოლობი იჭედება, წყალი ჩამოდის და დაზიანებულია სახურავი, ასევე ნესტისგან დაზიანებულია კედლები, აქვს ბზარები და ჩამოყრილია ბათქაში.
17	CMR200077038	შპს „პირამიდა MM“	19.3	სოფელ მელაურის ამბულატორია	ნესტისგან დაზიანებულია კედლები.
18	NAT190023357	შპს „ჯორჯიან კომპანი“	98.9	ქ. სამტრედიოში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები	ხელოვნური საფარი ზოგ ადგილას დაზიანებულია, ნაპირები დაშორებულია ერთმანეთს, ღობეზე გადაცილია საღებავი.
19	CMR190092314	ი/მ თამაზ ჯანელიძე	9.3	დაბა კულაშში საჭიდაო დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია	სახურავის ჟოლობი და საწრეტი არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ორ ადგილას, ასევე ერთ ადგილას საწრეტი მილი არ არის საკმარისი სიგრძის, რის გამოც სველდება შენობის გარეთა კედლები.
20	NAT200007539	შპს „გუდა 1979“	25.3	დაბა კულაშის საჯარო სკოლის მცირე სარეზიდუალური სამუშაოები	დანესტიანებულია საპირფარეშოს კედლები და დაზიანებულია კარის ჩარჩო.
21	NAT200007539	შპს „გუდა 1979“	42.9	სოფელ ღანირის საჯარო სკოლის მცირე სარეზიდუალური სამუშაოები	საპირფარეშოს არ იყენებენ; კედლები დაზარალებული და დანესტიანებულია რამდენიმე ადგილას, წყალი საპირფარეშოში წვეთავს ერთ ადგილას. სათანადოდ არ არის მოწყობილი კარების ჩარჩოები და ერთი მათგანი დაზიანებულია. სახურავის ჟოლობი და სახურავი არ არის სათანადოდ მოწყობილი (დაკავშირებული) რის გამოც სველდება შიდა და გარე კედლები.
22	NAT190001502	შპს „ნომიგია“	129.3	სოფ. ღანირში „ელიავას მინდვრიდან“ სამხრეთის მიმართულებით, ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები	გზაზე დაფიქსირებულია ბზარები.
23	NAT200006308	შპს „საგზაო“	257.0	დაღანიძეების უბნის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები	ორ ადგილას ჩაკერებულია ბეტონი, დაფიქსირდა ბზარები.
24	CMR190123438	ი/მ ბაკურ ბაკურაძე	19.7	დაბა კულაშში არსებული ამბულატორიის სარეზიდუალური სამუშაოები	კედლები მნიშვნელოვნად არის დანესტიანებული. შიდა კედლებზე რამდენიმე ადგილას ბათქაში ჩამოყრილია, შეინიშნება მცირე ბზარებიც.

25	SPA190012416	შპს „ლაკადა 2016“	26.2	ქ. სამტრედიის №2 საჯარო სკოლის მე-2 კორპუსი	მოწყობილი საპირფარეშოს ერთ კედელზე ჩამოყრილია კაფელის ნაწილი; დაზიანებულია კარის ჩარჩო, კედელი და კარის საკეტი.
26	NAT190013050	სს „სამტრედ მშენი“	30.0	ქ. სამტრედიის №3 საჯარო სკოლა	საპირფარეშოში კედელზე მცირე ზზარებია, ჩამოსულია წყალი, რაც აზიანებს კარის ტიხარს.
27	NAT190002211	შპს „გუდა-1976“	49.0	ქ. სამტრედიის №6 საბავშვო ბაღი	ბაღის ფასადის ნაწილი ნესტისგან არის დაზიანებული, ზოგან შეინიშნება ზზარები
28	NAT190002209	შპს „გუდა-1976“	27.1	ქ. სამტრედიის №3 საბავშვო ბაღი	საპირფარეშოებში მილებიდან ჟონავს წყალი, სამზარეულოს კედლები დაზზარულია.
29	NAT190022081	შპს „ლაგი“	თანზა ანაზღაურებულ ი არ არის	თევეძაზის ქუჩაზე ჩოგბურთის კორტები	დაზიანებულია ხელოვნური საფარი
სულ			1,244.6		

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE